

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**სალიტერატურო ენის  
საკითხები  
I**

2020 წლის 23-24- მაისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი  
2020

სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახე-  
ლობის **ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში**  
(პ. ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი  
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **თამარ ვაშაკიძე**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

## მუშაობის განრიგი

**23 მაისი, 12 საათი**

თავმჯდომარე – **ნანა მაჭავარიანი**

თ ი ნ ა თ ი ნ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე – ნასესხები სიტყვების ხელახალი სესხების საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – ერთი სახის კომპოზიტიური შერწყმული დანართის მართლწერისათვის

ქ ე თ ე ვ ა ნ და თ უ კ ი შ ვ ი ლ ი – **გულის** შემცველ მართულმსაზღვრელიან კომპოზიტთა დაწერილობისათვის

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე – *არ, არა, არც* ნაწილაკ-ფორმანტთა მართლწერისათვის

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა – დარღვევებისათვის ერთი სახის კომპოზიტთა დაწერილობისას (კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია)

ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ლ რ ა ძ ე, ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – ებ თემის-ნიშნისანი საშუალი გვარის ფუძეგაორკეცებულ ზმნათა და შესაბამის საწყისთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – რთულფუძიანი სახელები აფხაზურ სალიტერატურო ენაში

**24 მაისი, 12 საათი**

თავმჯდომარე – **ნანა მაჭავარიანი**

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი – „საერთოს“ შემცველი კომპოზიტიური სიტყვების დაწერილობისათვის

ლ ი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე – უცხო სიტყვები და ქართული ენა (ისტორია და თანამედროვეობა)

მ ე დ ე ა ლ ო ნ ტ ი – მიზეზისა და მიზნის მრჩობლად აღ-  
ბეჭდილი სინტაქსური ფუნქციისათვის ქართულში

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – ერთი პოპულარული სიტყვის (*გინ-  
ტიკოსა*) შესახებ უახლეს ქართულში

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა – კომპოზიციის პრობლემისათვის საერთო-  
ქართველურ ფუძეენაში

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა – სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის  
ისტორიისათვის 1920-1921 წლებში (საქართველოს ეროვნულ არ-  
ქივში დაცული მასალების მიხედვით)

### **სტუდენტთა სექცია**

ს ა ლ ო მ ე დ ე ნ ო ს ა შ ვ ი ლ ი, ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე –  
მართლწერის ლექსიკონი დაწყებითი კლასების (I-VI) მოსწავლეთა-  
თვის (აგების პრინციპები)

ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე – ზმნური ანტონიმია თანამედროვე  
ქართულში

## კონფერენციის გახსნა

კონფერენციის გახსნა და მისალმება – **ნანა მაჭავარიანი**, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

მოგესალმებით, ძვირფასო კოლეგებო! გილოცავთ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი კონფერენციის დაფუძნებას! ქართული სალიტერატურო ენა, ჩემი ღრმა რწმენით, ბევრად უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე ლინგვისტური საზოგადოების სოლიდურ ნაწილს მიაჩნია. ამის შესახებ სხვა დროსა და სივრცეში ვაპირებთ მსჯელობას! ქართულ სალიტერატურო ენაზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ზრუნავდნენ საქართველოს სასახელო შვილები: მეფე ფარნავაზი („და არღარა იზრახებოდა სხუად ენად ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა!“), სასულიერო პირები: იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელები... შავი მთის, ათონის მთის, სინას მთისა და სხვა წმინდა სავანეების მოღვაწე არაერთი ქართველი მამულიშვილი... ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში საბაწმიდის ლავრაში ჩატარებულა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა. სწორედ ამ რეფორმის შედეგად დამკვიდრებული ტერმინებია ხანმეტი და საბაწმიდური ტექსტები, მოხსენიებული გიორგი მთაწმინდელის ცნობილ ანდერძში... ასე „ხელიხელსაგოგმანებელმა“ ჩვენმა ქართულმა სალიტერატურო ენამ დიდი ქართველებითა და ზოგჯერ ძალადობით (ანტონ I), ზოგჯერ განადგურების საფრთხით (რუსეთი) დამძიმებულმა, ღვთის განგებით, ჩვენამდე მოაღწია. ჩვენი მშობლიური ენის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შემოტევის მონაწილე ჩვენი თაობაცაა. ეს იყო 1978 წლის 14 აპრილს. საბედნიეროდ, საღმა აზრმა გაიმარჯვა და ჩვენს სამშობლოში სახელმწიფო ენად ქართული დარჩა! სწორედ ამ თარიღს ეძღვნება ჩვენი დღევანდელი კონფერენცია. ქართული სალიტერატურო ენის ბედი დღეს ჩვენს ხელთაა. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე მოგახსენებთ, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა შემმუშავებელი ყველაზე კომპეტენტური ინსტიტუცია გახლავთ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კერძოდ, ამ ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელიც უკვე თითქმის საუკუნეა სპეციალურად სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის საკითხებზე მუშაობს. მისასალმებელია ამ განყოფილების ინიციატივა (პროფესორ თამარ ვაშაკიძის თაოსნო-

ბით) სალიტერატურო ენის საკითხებთან დაკავშირებული კონფერენციის დაფუძნებისა! ეს გახლავთ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამართული პირველი დისტანციური კონფერენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ სამწუხარო რეალობაშიც აქტიურად ვმუშაობთ და არ გვინდა დაგეგმილი ღონისძიებების სამომავლოდ გადადება. კონფერენცია თავისი ფართო ფორმატის წყალობით ხელს შეუწყობს სხვა სალიტერატურო ენათა კვლევასაც. აქ წარმოდგენილი იქნება იბერიულ-კავკასიურ თუ სხვა ჯგუფის ენათა მასალები, ენობრივ სიტუაციათა კვლევის გამოცდილება. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფო ენაც გვაქვს – ეს გახლავთ აფხაზური ენა. საკონფერენციო მასალებში აფხაზური სალიტერატურო ენის შესახებ წარმოდგენილი მოხსენებების მიმოქცევას, მეცნიერულის გარდა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამ კონფერენციის დაფუძნება ქართული სალიტერატურო ენის პირველი ამაგდარის – ფარნავაზ მეფის საზეო ქალაქ მცხეთაში გვეწადა, რაც შექმნილი მდგომარეობის გამო შეუძლებელი შეიქნა. სამწუხაროა, რომ დისტანციური რეჟიმით მოგვიწევს ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გამართვა, მაგრამ რა გაეწყობა! იმედი გვაქვს, კონფერენცია სათანადო მეცნიერულ დონეზე, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაივლის! კონფერენციის ყველა მონაწილესა და დამსწრეს წარმატებას გისურვებთ! კონფერენციას გახსნილად ვაცხადებ.

## ნასესხები სიტყვების ხელახალი სესხების საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში

მოხსენებაში განხილულია ის ნასესხები სიტყვები, რომლებიც უკვე არის ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ მათი ხელახალი სესხება იწვევს ამ სიტყვების სემანტიკისა და დისტრიბუციის ცვლილებას. მაგალითად, **ოფიცერი**, **ლოკაცია**, **რეჟიმი**, რომლებიც ჩვეულებრივია სამხედრო ტერმინოლოგიისათვის, იცვლის გამოყენების არეალს, რითაც იზრდება მათი დისტრიბუცია და სიხშირე. **ლოკაცია** ლამის მთლიანად ენაცვლება **ადგილს** ყოველდღიურ მეტყველებაშიც კი; **ოფიცერი** ხდება საბანკო ტერმინთა შემადგენელი ნაწილი როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა კომპოზიტსა და სიტყვათშეთანხმებებში: **ფრონტოფიცერი**, **დაზღვევის ან რისკების ოფიცერი** და სხვა. ასეთივე შეცვლილი გამოყენების არეალი აქვს სიტყვა **ასპირანტს** – გამოიყენებოდა უმაღლესი განათლების სისტემაში, ახლა კი კანდიდატის მნიშვნელობით გამოიყენება სამხედრო საქმესა და პოლიტიკურ ტერმინებში: **ნატოს ასპირანტი ქვეყანა**. ასევე აქვთ რეესტრი შეცვლილი სიტყვებს: **ამბიცია**, **აპლიკაცია**, **კონტრიბუცია**, **კომუნიკაცია**, **სპეკულაცია**... მოხსენებაში განხილულია მაგალითები, რომლებიც აჩვენებენ უკვე ნასესხები ლექსიკის სემანტიკურ გაფართოებას, დისტრიბუციისა და ზოგჯერ დაწერილობის შეცვლასაც.

ამ სახის ხელახალი ნასესხობების მოძიება და მათი სემანტიკის ცვლილებაზე დაკვირვება გრძელდება.

## ერთი სახის კომპოზიტური შერწყმული დანართის მართლწერისათვის

ბოლო ხანს ქართულ ენაში ძალიან მოიკიდა ფეხი როგორც ქართული სიტყვებით შედგენილმა, ისე უცხოენოვანმა კომპოზიტურმა შერწყმულმა დანართმა. ენაში ამგვარი ფორმების დამკვიდრების გახშირებამ, ცხადია, დააყენა მათი მართებულად დაწერილობის საკითხიც.

რთული სიტყვებისა და შერწყმული დანართის მართლწერის შესახებ დადგენილი წესების თვალსაზრისით დავას იწვევს **სახლ-მუზეუმი, ციხე-კოშკი** ტიპის შერწყმული დანართის დაწერილობა. კერძოდ, „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ სიტყვები **ციხე-კოშკი, ციხე-ბურჯი, ციხე-ქალაქი, ციხე-გალავანი, ციხე-გოდოლი, ციხე-დარბაზი** დეფისითაა წარმოდგენილი, როგორც მართებული ფორმები. ამგვარადვეა ის გაფორმებული ბოლო დროის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონებშიც („მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“, „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“). გამონაკლისია კომპოზიტი **ციხესიმაგრე**, რომელიც უდეფისოდ, ერთად დაწერილობითაა სწორ ვარიანტად მიჩნეული (გამონაკლისია „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, რომელშიც **ციხესიმაგრეც** დეფისითაა წარმოდგენილი ერთგვაროვნებისათვის). ცხადია, ლექსემა **ციხესიმაგრე** ლექსიკონის შემდგენლებს ერთცნებიან რთულ სიტყვად სამართლიანად მიუჩნევიათ, რადგან ეს კომპოზიტი ერთდროულად **ციხესაც** და **სიმაგრესაც** აღნიშნავს. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, საკითხისადმი ანალოგიური მიდგომაა საჭირო ზემოაღნიშნული კომპონენტით შედგენილი კომპოზიტების მიმართაც. მაგალითად, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ **ციხე-გალავანი** განმარტებულია როგორც **ციხესიმაგრე გალავნითურთ**, თუმცა ეს კომპოზიტი სულაც არ ნიშნავს ცალკე **ციხეს** და ცალკე **გალავანს**, ესაა გამაგრებული გალავანი. ასევეა **ციხე-დარბაზის** შემთხვევაც – აქაც ხომ ცალკე **დარბაზი** და ცალკე **ციხე** არ მოიაზრება. ის გამაგრებული, თავდაცვითი დარბაზია. **ციხე-ქალაქი** – ესაა „ქალაქი, რომელიც სიმაგრე-



რეს წარმოადგენს“ (ქეგლი), ანუ ერთცნებიანია, **ციხე-ბურჯი** ხომ ბურჯებიან ციხედ განიმარტება, შესაბამისად, აქაც ერთ სიტყვად გავიაზრებთ. **ციხე-კოშკი** განმარტებულია როგორც **ციხე** და **კოშკი**, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ის არის **კოშკებიანი ციხესიმაგრე**. სწორედ ერთ სიტყვად გააზრიანების გამო ჩვენ მიერ დასახელებული ყველა ამგვარი კომპოზიტი მიგვაჩნია ერთცნებიანად. ამიტომ მათი მართლწერა უნდა შეიცვალოს და დაიწეროს ერთად, უდღევისოდ, როგორც სხვა ერთცნებიანი რთული სიტყვები: **ციხეკოშკი, ციხე-ბურჯი, ციხექალაქი, ციხეგალავანი, ციხეგოდოლი, ციხედარბაზი...** რაც შეეხება კომპოზიტს **სახლ-მუზეუმი**, აქ თითქოს განსხვავებული შინაარსი ჩანს. ის დეფისით გაფორმდება, რადგან სიტყვაში აშკარად ორი სხვადასხვა ცნება იგულისხმება – ის სახლიცაა და მუზეუმიც. გაჭირდება იმის განსაზღვრა, **სახლ-მუზეუმი** ერთდროულად სახლია (რომელშიც ახლაც ცხოვრობენ და თან მუზეუმადაა გადაკეთებული) – თუ დღეს სახლი აღარაა და მხოლოდ მუზეუმის ფუნქციას ასრულებს, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ სხვა კომპოზიტებზე. ამიტომ, ვფიქრობთ, **სახლ-მუზეუმის** დეფისიანი დაწერილობა უნდა დარჩეს მართებულ ვარიანტად. ჩვენს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას მხარს უჭერს ისეთი რთული სიტყვების ერთად დაწერილობის მაგალითები, როგორებიცაა: **რკინაბეტონი, რკინაქვა, აზბესტმუყაო, აზბესტსაღებავი, აზბესტცემენტი...**

ამგვარივე კომპოზიტი **ასონიშანი**, რომელიც ერთცნებიან რთულ სიტყვადაა გაგებული და, შესაბამისად, ერთადაც იწერება, რადგან ის არის სამეტყველო ბგერის გრაფიკული ნიშანი, იგივეა, რაც ასო (კომპოზიტი **ასო-ციფრი** კი ლექსიკონებში დეფისითაა წარმოდგენილი, რადგან ორი მკვეთრად განსხვავებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის შინაარსის შემცველია). ასო, ანუ ბგერა, სამეტყველო ბგერის გრაფიკული ნიშანია, ხოლო ციფრი – რიცხვის გრაფიკული მხარე. თუმცა არცერთ ორთოგრაფიულ ლექსიკონში არ გვხვდება რთული სიტყვა **ასობგერა**, ამიტომ დღეს გაურკვეველია მისი მართლწერის საკითხი. ვფიქრობთ, ეს სიტყვა კომპოზიტ **ასონიშნის** მსგავსია, ერთცნებიანია და ამიტომ ერთად უნდა დაიწეროს – მიუხედავად იმისა, რომ **ასო** გრაფიკულ გამოსახულებას იგულისხმობს, ხოლო **ბგერა** – ფონეტიკურს, ის ერთი სიტყვაა, რადგან ორივე ცნება ერთ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

დადგენილი ნორმის მიხედვით, ერთად იწერება შემდეგი კომპოზიციები: **ვაგონრესტორანი, ვაგონსახელოსნო, ვაგონცისტერნა, ვაგონზიბლიოთეკა...** ეს სიტყვები ამგვარი დაწერილობით იმიტომაცა წარმოდგენილი, რომ დასახელებულ რთულ სიტყვებში ორი დამოუკიდებელი ერთეული კი არ გვაქვს, არამედ ყველა მათგანი ერთ-ცნებიანი კომპოზიტია.

რატომ იწერება **სალონ-ვაგონი** დეფისით და **ვაგონრესტორანი, ვაგონსახელოსნო** ერთად? – ვფიქრობთ, ეს შერწყმულდანართიანი კომპოზიციები ერთად უნდა დაიწეროს, რადგან მისი შემადგენელი კომპონენტები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულებს და **სალონ-ვაგონიც ვაგონრესტორნის** მსგავსია (ერთცნებიანია). სწორედ ამიტომ იწერება ერთად შემდეგი ახლად წარმოქმნილი კომპოზიციებიც: **კანონპროექტი, ჩარჩოხელშეკრულება, ჩარჩოპროექტი, ჩარჩოდოკუმენტი.**

## ქ ე თ ე ვ ა ნ   დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

### **გულის შემცველ მართულმსაზღვრელიან კომპოზიტთა დაწერილობისათვის**

სიტყვათა შეერთებით მიღებულ რთულ სახელებში ყველაზე ხშირად პირველ კომპონენტად ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არის წარმოდგენილი: ქინძისთავი, გუთნისდედა, ჯარისკაცი და მისთ.

ამგვარი კომპოზიციების დაწერილობისას დეფისის გამოყენების საკითხი არ დგება. ყველა ეს ერთეული დეფისის გარეშე იწერება. ორთოგრაფიის პრობლემა რიგ შემთხვევებში თავს იჩენს იმ თვალსაზრისით, ერთად უნდა დაიწეროს შესიტყვების წევრები თუ ცალ-ცალკე: **გულის ტკივილი** თუ **გულისტკივილი**, **არაფრისმთქმელი** თუ **არაფრის მთქმელი**, **ცხენის ძალა** თუ **ცხენისძალა** და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ამ საკითხის გარკვევის ხერხი: შემადგენელ ნაწილთა გათიშვა მათი გადასმით ან სხვა სიტყვის ჩართვით (არნ. ჩიქობავა). წესის არსებობის მიუხედავად, მაინც ჭირს კონკრეტულ შემთხვევებში კომპოზიტისა და შესი-

ტყეების გამოიჯვანა. ამიტომ საკმაოდ განსხვავებული დაწერილობა დასტურდება, ერთი მხრივ, ორთოგრაფიულ ლექსიკონებში და მეორე მხრივ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

ჩვენ მოვიძიეთ ამგვარი კომპოზიციების დაწერილობის შემთხვევები აღნიშნულ წყაროებში. ამჯერად განვიხილავთ **გულ** სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისგან (**გულის**) მიღებულ კომპოზიციებსა თუ შესიტყვებებს: **გულისთქმა, გულისყური, გულისხმა, გულის ძგერა, გულის ფანცქალი, გულის ამაჩუყებელი** და მისთ.

ვფიქრობთ, მასალის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, თუ რომელი მეტყველების ნაწილი მოსდევს ნათესაობითის ფორმას. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა ოთხი ტიპი:

1. გულის + არს. სახელი: **გულისყური, გულისხმა...**
2. გულის + ზედს. სახელი (ორიოდე შემთხვევა): **გულისსწორი, გულისტოლი...**
3. გულის + მასდარი: **გულისთქმა, გულისტკენა...**
4. გულის + მიმღეობა: **გულისნადები...**

მოხსენებაში საანალიზო მასალას განვიხილავთ აღნიშნული ტიპების მიხედვით.

## თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

### **არ, არა, არც** ნაწილაკ-ფორმანტთა მართლწერისათვის

თანამედროვე ქართულში **არ, არა, არც** ნაწილაკები ორი დანიშნულებით გამოიყენება: ერთ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ნაწილაკებისათვის დაკისრებულ ფუნქციას ასრულებენ და გარკვეული სახის უკუთქმითობის შინაარსს სძენენ გამონათქვამს, ხოლო სხვა შემთხვევაში სიტყვამაწარმოებელი ფორმანტის სტატუსით გვევლინებიან და, შესაბამისად, წარმოქმნიან ახალ ლექსიკურ ერთეულებს, რაც განაპირობებს მათთან დაკავშირებულ მართლწერის პრობლემებს.

უპირველეს ყოვლისა, დავასახელებთ ისეთ შემთხვევებს, როცა ისინი (**არ, არა, არც**) ნაწილაკების ფუნქციას ასრულებენ.

**არ** ნაწილაკი წარმოაჩენს:

ა) უკუთქმით ბრძანებითობას (**არ** წავიდეს! **არ** უპასუხოვნ!);

ბ) მარტივ უარყოფას (**არ** დადის; **არ** სწავლობენ...);

გ) გაოცებას (ნახეთ, აქ ბალახი სულ **არ** ყოფილა!);

დ) აღტაცებასა და გაკვირვებას, როცა მოქმედება დადებითად არის წარმოდგენილი (ძლივს შუბლგახსნილი **არ** ვნახე! – ილია)...

**არა** ნაწილაკი ძირითადად გამოხატავს:

ა) მიგებითობა-უკუთქმითობას (ჩემთან გაქვს საქმე? – **არა**, შენი ჭირიმე; არ იტყვი, რა დაგემართა? – **არა**!);

ბ) მარტივ უარყოფას (იმედი **არა** მაქვს...).

საინტერესო ჩანს **არა** ნაწილაკის გამოყენება ერთი სახის დიალოგურ კონტექსტში. **არა** ამ შემთხვევაშიც უკუთქმით-მიგებითი ნაწილაკია, თუმცა ის დასმულ შეკითხვას კი არ უპასუხებს (უარყოფითად), არამედ აბსოლუტურად ცვლის სასაუბრო თემას. ამგვარი **არა** ხშირად ელიფსური კონსტრუქციის წევრია და ძირითადად გამოხატავს შემდეგ შინაარსს: „რა დროს ეგ არის“; „ეგ კი არადა...“; „მაგას თავი დაანებე და...“, მაგ., „გიორგის როდის ეტყვი ამ ამბავს? – **არა**, როდის ჩამოხვედი, ბიჭო?“ ან კიდევ: „რა გადაწყვიტე? – **არა**, შენ დამირეკე გუშინ?“

თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში (ძირითადად ახალგაზრდების) გააქტიურებულია კიდევ ერთი სახის არა- ნაწილაკიანი ელიფსური კონსტრუქცია, რომელიც ასევე დიალოგში მჟღავნდება და გულისხმობს შემდეგ კონტექსტს: „ხომ არ გინდა?“ / „არ გინდა?“

– სადა ხარ?

– გზაში, დავიღალე.

– აქ რომ მოხვიდე – **არა**?

ან კიდევ:

– როგორ ხარ?

– კარგად.

– შენ?

– მეც.

– მაგრა მომენატრე.

– რომ შემოგვიარო – **არა**? და ა. შ.

რაც შეეხება **არც** ნაწილაკს, ის, როგორც წესი, გამლიერებულ უარყოფას წარმოაჩენს (ძირითადად ჩამოთვლისას): „**არც** გვართ,

**არც** ვაჟკაცობით, **არც** სიმდიდრით, **არც** ქონებით, ჰაჯი-უსუბ ცნობილია მხოლოდ ჭკუით და გონებით“ (აკაკი) ...

**არა** ნაწილაკი დაერთვის: არსებით სახელს (არაკაცი, არათითი...), ზედსართავს (არაზუსტი, არასწორი...), რიცხვითს (არაერთი მასწავლებელი ესწრებოდა ამ სხდომას...), ნაცვალსახელს (არავინ, არარა), წარმოქმნილ სახელებს, კერძოდ: აბსტრაქტულს (-ობა/-ება სუფიქსიანებს: არაკაცობა, არაზომიერება...; სი-ე თავსართ-ბოლოსართიანებს: არასიზუსტე, არასიძლიერე...), მქონებლობის (-იან სუფიქსიანებს: არახარისხიანი, არაბორცვიანი...; -იერ (> -იელ) სუფიქსიანებს: არაწესიერი, არახორციელი...; -ოსან სუფიქსიანებს: არამედლოსანი, არაფრთოსანი...; -ოვან სუფიქსიანებს: არასრულწლოვანი, არასრულფასოვანი...), წარმომავლობის (-ელ სუფიქსიანებს: არაქართველი, არაევროპელი...; -ურ (>-ულ) სუფიქსიანებს: არაადამიანური, არალიტერატურული...; -ეულ სუფიქსიანებს: არამამისეული, არაშორეული...; -იურ სუფიქსიანებს: არამკვეციური, არაწლიური...), დანიშნულების (სა-ო თავსართ-ბოლოსართიანებს: არასამთავრობო, არასამეწარმეო...) და სხვ. **არა** დასტურდება ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილ სახელებთანაც (არაშრომითი, არადრეკადი, არადირითადი...). ის მაწარმოებლად დაერთვის **-ივ** ფორმანტით გავრცობილ თანდებულიან სახელებსაც (არაჩვეულებრივი, არაზნეობრივი...), ასევე – **ნაირ** და **გვარ** ფუძეთაგან წარმოქმნილებს (არაერთგვარი, არაერთნაირი...). **არა** უშუალოდაც დაერთვის **ნაირ** და **ფერ** ფუძეებს (არანაირი, არაფერი).

სიტყვამაწარმოებელი **არა** დასტურდება სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობებთანაც (არამშენებელი, არამობილიზებული...), აგრეთვე – ზმნასთან (არამკითხე მოამბეო, მიტყვიპე და მიაგდეო). **არა** ასევე დაერთვის ზმნისართსა (არაერთგზის, არაერთხელ...) და კავშირს (არადა, არათუ).

აღსანიშნავია ისიც, რომ **არა** რთული კავშირების შემადგენელ კომპონენტადაც გვევლინება (**არამართო, არამხოლოდ, არათუ**).

რაც შეეხება **არ** ნაწილაკს, ის მაწარმოებელი ფორმანტის ფუნქციით დაერთვის:

- ა) სასუბიექტო მიმღეობას (არმცოდნე, არმყოფი...);
- ბ) საობიექტოს (არნახული, არგაგონილი...);
- გ) მასდარს (არდავიწყება, არმოსვლა...);

დ) ნაცვალსახელურ კითხვით ზმნისართებს (არსაიდან, არსად...).

**არც** ნაწილაკი სადერივაციო ფორმანტად დაერთვის:

ა) რიცხვით სახელს (არცერთი);

ბ) ნაცვალსახელს (არცრა, არცვინ);

გ) ზმნისართს (არცერთხელ);

დ) კავშირს (არცთუ).

აღსანიშნავია ისიც, რომ **არ**, **არა**, **არც** ნაწილაკები მრავლად დაჩნდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსა თუ ზღაპრის, ფიცისა და წყევლა-დალოცვის ფორმულებში („ყურებზე ხახვი **არ** დამაჭრა“; „ბუზს **არ** აიფრენს“; „**არც** მეტი, **არც** ნაკლები“; „**არც** აცივა, **არც** აცხელა“; „იყო და **არა** იყო რა“; „სად იყო და სად **არა**“; „შენც **არ** მომიკვდე“; „დედა **არ** მომიკვდეს“; „**არ** გაიხაროს“; „ღმერთმა დაგლოცოთ და სიკეთე **არ** მოგიშალოთ“...).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება დასახელებულ ნაწილაკთა მართლწერასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

## მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

### **დარღვევებისათვის ერთი სახის კომპოზიტა**

**დაწერილობისას** (კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია)

თანამედროვე ქართულში ხშირად დასტურდება ერთი სახის ერთცნებიანი რიცხვითი სახელის შემცველი კომპოზიტები სხვადასხვაგვარი დაწერილობით. ერთი და იგივე კომპოზიტი იწერება ერთადაც – როგორც ერთი სიტყვა, დეფისითაც და ცალ-ცალკეც. დარღვევები განსაკუთრებით თვალშისაცემია ინტერნეტტექსტებსა თუ პრესაში.

მოხსენებაში განხილული იქნება იმ ტიპის შემთხვევები, როცა კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია, მეორე კომპონენტი კი – ნაწარმოები **-ა**, **-იან**, **-ოვან**, **-ელ** სუფიქსებით.

დაწერილობის თვალსაზრისით დარღვევები შეინიშნება შემდეგი ტიპის შემთხვევებში:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი, კომპოზიტის პირველი ნაწილი, სიტვიერად არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე კომპონენტი ნაწარმოებია -**იან** ან -**ოვან** სუფიქსით: „მათ ჟურნალი „ანა-ბეჭდი“ ერთი წლით გამოიწერეს და **ასლარიანი** სალაპარაკო დრო დაიმსახურეს“ (lib.ge), შდრ.: „**ას ლარიანი** ათ თუმნიანებად გადავახურდავე და უკან გამოვბრუნდი“ (lib.ge); „**ათ კილომეტრიანი** სპრინტი კაცებში ნორვეგიელმა იოჰანეს ბომ მოიგო“ (1 tv.ge.news), შდრ.: „...ვერანაირ კმაყოფილებას ვერ მოჰგვრის **ათ კილომეტრიანი** გზის ახალი მონაკვეთი“ („ახალი თაობა“, 2009); „რეკონსტრუქციების შედეგად ტამარი **სამგუმბათოვანი** გახდა“ (tbiliselebi.ge), შდრ.: „ისტორიულად კომპლექსში შედის **სამ გუმბათოვანი** ეკლესია რუსული სტილით“ (realsiti.ru), შდრ.: „მე-20 საუკუნის დასაწყისში აგებული **სამ-გუმბათოვანი** გოთიკური ტიპის ტაძრის ფრესკა წლებია დაზიანებულია“ (ajaratv.ge)... ასევე ყურადღებას იქცევს რიცხვითი სახელითა და -**იან** სუფიქსიანი ლექსიკური ერთეულებით ნაწარმოები კომპოზიტები: **ორცილინდრიანი** და **ორ ცილინდრიანი**, **ორხიდიანი** და **ორ ხიდიანი**, **სამგანზომილებიანი** და **სამ განზომილებიანი**...

2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი, კომპოზიტის პირველი ნაწილი ციფრით არის წარმოდგენილი, მეორე კომპონენტი კი ნაწარმოებია -**იან** სუფიქსით: „პოლიციამ ავტომანქანები მალევე დააბრუნა და **20 ლარიანი** ჯარიმა **10 ლარიანი** ჯარიმით შეცვალა“ (tavisufeba.org.), შდრ.: „სექტემბრიდან ბიუჯეტში აისახა პენსიის **20-ლარიანი** მატება და **10-ლარიანი** დახმარება ამიტომ შეჩერდა“ („საქ. რესპუბლიკა“, 2012); „**3 ოთახიანი** ბინის ფასად იყიდებოდა ქარხნები“ („ახალი თაობა“, 2005), შდრ.: „ვაკეში **3-ოთახიანი** ბინა მაქვს 130 კვ/მ ფართით“ („თბილისი“, 2005)...

3. კომპოზიტის პირველი ნაწილი რიგობითი რიცხვითი სახელია, ხოლო მეორე კომპონენტი ნაწარმოებია -**ელ** სუფიქსით: „**მეცხრეკლასელი** ფრონტზე მოხალისედ წავიდა და მძიმედ დაიჭრა“, შდრ.: „მე ერთი **მეცხრე კლასელი** ბიჭი ვიყავი, რომელიც არაფრით გამოვირჩეოდი ჩემი თანატოლებისგან“ („ახალი თაობა“, 2012); „სევილიელ დალაქში პირველად წარმოჩნდნენ „მსხვილი პლანით“ **მეოთხეკურსელი** ძმები გოჩა და უჩა აბულაძეები“, შდრ.: „მაგრამ ოჯა-

ხურმა გარემომ თავისი გაიტანა და **მეოთხე კურსელი** ფსიქოლოგი იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე აღმოვჩნდი“ („ახალი თაობა“, 2010)...

4. ერთმანეთს მოსდევს ორი ან მეტი ისეთი კომპოზიტი, რომელთა ბოლო შემადგენელი ნაწილი ერთი და იგივე სიტყვაა და სიმოკლისათვის მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული. მაგ.: „აღნიშნული პროექტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის **ოთხ** და **ხუთსართულიანი** საცხოვრებელი კომპლექსი აშენდა“ (mdf.org.ge), შდრ.: „დედაქალაქში 1200 **ოთხ-** და **ხუთსართულიანი** „ხრუმჩოვკის“ ტიპის სახლია, მათ შორის 450 ავარიულად ითვლება“ (radiotavisufleba.ge); „სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე წარმოდგენილია ორი პროექტი, კერძოდ, **ხუთ**, **ექვს** და **შვიდსართულიანი** სასტუმროებისა“ (netgazeti.ge), შდრ.: „სურათები, **ხუთ-**, **ექვს-** და **შვიდსართულიანი** ნაგებობებისთვის“ (laterna.ge)...

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რიცხვითი სახელით (რომელიც პირველ კომპონენტად დასტურდება) ნაწარმოებ კომპოზიტთა გამოყენების შემთხვევები და მათთან დაკავშირებული მართლწერის წესები.

## ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ლ რ ა ძ ე , ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

### **-ებ-თემისნიშნიან საშუალო გვარის ფუძეგაორკეცებულ ზმნათა და შესაბამის საწყისთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში**

ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა უმრავლესობას ქართულში -ებ-თემისნიშნიანი **საშუალო გვარის ზმნები** და მათი შესაბამისი **საწყისები** შეადგენენ.

ფუძეგაორკეცებულ ზმნათა (შესაბამისად – საწყისთა) დიდი ნაწილი **ხმაბაძვითი** სიტყვებია, გარკვეული ხმიანობის გამომხატველი. ასეთებია: *ბაგბაგებს, ღავღავებს, კავკავებს, ღაღღადებს, ხარხარებს, რახრახებს; წიკწიკებს, ყიყიყვებს, ტიკტიკებს, ხითხითებს, ჩიჩჩიფებს, კისკისებს, ვიშვიშებს, ლიფლიფებს, შხიშხიშებს; ქოთ-*



ქოთებს; ბუტბუტებს, ლულულებს, ბუყბუყებს, ბუხბუხებს, დუგ-დუგებს, რუკრუკებს, ჭუკჭუკებს, ჭუპჭუპებს და სხვ.

**ფრინველთა და ცხოველთა ხმიანობის** გამომხატველი სიტყვებიც უმეტესად ფუძეგაორკეცებული ფორმებია: *ჭახჭახებს, წკაწკაებს; კიკჭიკებს, ჟიჟივებს, ჟრიკჟრიკებს* და სხვ.

როგორც ცნობილია, ფუძის გაორკეცებისას დაჩნდება სხვადასხვა სახის **ფონეტიკური პროცესიც**: თანხმოვნის დისიმილაცია, თანხმოვნის ჩავარდნა, ხმოვნის შენაცვლება, საწყისი მარცვლის შენაცვლება...

ფუძეგაორკეცებულ ზმნებთან (შესაბამისად – საწყისებთან) დაკავშირებით შემდეგი სახის პრობლემები იჩენს თავს:

1. დიალექტური ფორმების გამიჯვნის საკითხი;
2. **-ებ-** და **-ობ-**თემისნიშნაირი პარალელურ ვარიანტთაგან მართებული ფორმების დადგენის საკითხი;
3. მათი დაწერილობის (დეფისით თუ უდეფისოდ) საკითხი.

## ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### **რთულფუძიანი სახელები აფხაზურ სალიტერატურო ენაში**

აფხაზური ენის ლექსიკა მოიცავს ოდენფუძიან, აფიქსაციით ნაწარმოებ და კომპოზიციით თხზულ სიტყვებს. მოხსენებაში განხილული იქნება რთულფუძიანი სახელები აფხაზურ სალიტერატურო ენაში: ამჟამად დამოუკიდებელი მნიშვნელობის, ისტორიულად სინტაქსური შესიტყვებებისაგან ნაწარმოები ფუძეები, რომლებიც ორი, სამი და სამზე მეტკომპონენტია შეიძლება იყოს. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილთა გარდა, რთული ფუძე (კომპოზიტი) შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე ე. წ. ლოკალურ პრევერბებსა და „ლ“-ს რიგის პირ-კლასის კუთვნილებით ელემენტებს, რომლებიც (თავის მხრივ) დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებისგან წარმოიშვნენ. რთულ ფუძეებში გვხვდება როგორც არაგონიერთა კლას-კატეგორიის მრავლობითობის ნიშნის

გამოვლენის შემთხვევები, ასევე სხვა მორფოლოგიურ კატეგორია-თა: კაუზატივის, სათავისო ქცევის, საურთიერთო კატეგორიის, ინ-სტრუმენტალისის – ნიშნები.

### **ორკომპონენტანი კომპოზიტები**

#### **საზღვრულ-მსაზღვრელი:**

1. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად მცენარისა და ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი**, ან მისი ფუძის ნაშთი:

**აჰაჰა** „თეთრი მსხალი“, აჰა „მსხალი“, შა < აშკიაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

#### **მსაზღვრელ-საზღვრელი:**

2. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** + **არსებითი სახელი**:

**აშამაშიგა** „ჭიაფერა“, აშამაყა „ცვილის დიდი სანთელი“, აშიგა „საღებავი“.

**აციგიაზ** „ხვადი კატა“, **აციგი** „კატა“, **-აზ** ნახევარსუფიქსი, ამოსავალი მნიშვნელობით „მამა“, ზედმიწევნით: „კატა მამა“, **აბლაზ** „ხარ-ჯიხვი“, **აბლ** (დაჩრდილოელი სემანტიკის მქონე სიტყვა), **-აზ** ნახევარსუფიქსი, ამოსავალი მნიშვნელობით „მამა“, **აზაზა** „მამალი ცხენი“, აბტა „ვაყა“, აზგ „ცხენი“, **-აზ** ნახევარსუფიქსი, ამოსავალი მნიშვნელობით „მამა“, რომელიც ცხოველთა მამრობითობის აღსანიშნავად გამოიყენება. სიტყვასიტყვით: „ცხენი მამა“. **ა-მშენყვზ** „გედი“, **ა-მშენ** „ზღვა“, **(ა) ყვზ** „ბატი“, „ზღვის ბატი“.

**ა-ძკატე** „გარეული იხვი“, **ა-ძე** „წყალი“ **ა-კატე** „ქათამი“, „წყლის ქათამი“.

ა) კომპოზიტის საზღვრულია **აჯ/ჯა**: **ადგლაყა** „ბამგი, ჭყორი“

#### **აშხარაყ** „ჯოლო“

ბ) კომპოზიტის საზღვრულია **აწლა** „ხე“ ლექსემა:

**აწაწლა** „არყის ხე“, აწა „ყინვა“, აწლა „ხე“.

გ) კომპოზიტის მსაზღვრელია **აზნა** „ტყე“: **აზნარასა** „გარეული, ტყის თხილი“ **აზნაწია** „მაჯალო, ტყის ვაშლი“, **ა-ზგნკატე** „ხოხობი“, **აზგნ** „ტყე“, **აკატე** „ქათამი“, „ტყის ქათამი“.

დ) კომპოზიტის მსაზღვრელის როლში გვევლინება **ეთონონიმები, ტოპონიმები და ანთროპონიმები**: ეთონონიმი: **აშთანგუჷ** „ყურძნის ჯიში“, აშინგუჷ „სვანი“, (ა)ჟ „ყურძენი“. ტოპონიმი: **აჟასარხიაჟ** „ყურძნის ჯიში“, აჟასარხია „ცხვრის ბორცვი“, აჟ „ყურძენი“. ანთროპონიმი: **პაპგნიჟ** „ყურძნის ჯიში“, პაპგნ „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის (კუთვნილების) პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, აჟ „ყურძენი“.

ე) კომპოზიტის მსაზღვრელია **ზოონიმები**: **აჟმაყგ** „დენგრა, კუნელი“, აჟმა „თხა“, (ა)ყგ „ცურცილი“.

3. სტრუქტურული მოდელი: **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი** (უმეტესად **მცენარის ან ცხოველის** აღმნიშვნელი ლექსემა)

**ათიაჟ** „სავსე ყურძენი“, ათიგ „სავსე“, აჟ „ყურძენი.“

4. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + მასდარი**

**აბღგ** აბტრა „გვირგვინის გახსნა“, აბღგ „ფოთოლი“, აბტრა „თავის ახდა“.

**ორზე მეტკომპონენტაანი კომპოზიტები**

**აბააჟშე** „ყურძნის ჯიში“, აბაა „ციხე-სიმაგრე“, (ა)ჟ „ყურძენი“, შე < აშკიაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

მცენარის სახელწოდებაში (შესაბამისად მცენარის სახელწოდების სემანტიკურ ველში შემავალ ტერმინოლოგიაში) გამოვლენილია **ლოკალური პრეფერბები**:

**აწაყიგდ** „ჭრელი ლობიოს ერთ-ერთი სახეობა“ **აწა** „ქვეშ, ქვევით.“

სახელწოდებებში თავს იჩენს სხვადასხვა **მორფემა, ზმნური და სახელური** სიტყვათმაწარმოებელი ელემენტები:

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. „ლ“-ს რიგისა: **ი-**, **ლ-**, **რ-**:

**თაგიდეჟ** თავი „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის (კუთვნილების) აფიქსი მამაკაცის კლასისა. „თაგუს [მისი] ყურძენი.“

**ხიგნალგჯ** ხინა „ქალის სახელი“, ლ- III პირის (კუთვნილების) აფიქსი ქალთა კლასისა. „ხუნას [მისი] ყურძენი.“

**აპიატპაჟა** „მოცივი“, აპია „ღორი“, (ა)პაჟა „ტკიპა“, რ III პირის

მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელი პრეფიქსი. „ღორი 'მათი' ტკიპა“.

**ა-ზგარემბ** (ბზიფ.) „ციცინათელა“, „ელვანა“ ა-ზგა „მგელი“, რ- III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელი პრეფიქსი, ამძ-ამწ „ბუზი“ ლექსემა. „მგელი 'მათი' ბუზი“.

მოხსენებაში განვიხილავთ ე. წ. „რთულ სახელთა“ შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას; შემოთავაზებული იქნება რთულფუძიანი სახელების ახლებური ინტერპრეტაცია.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

## **„საერთო“ შემცველი კომპოზიტური სიტყვების დაწერილობისათვის**

„საერთო“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მიხედვით არის ის, „რაც ყველას (ყველაფერს) განეკუთვნება, ახასიათებს ან ეხება, – საზოგადო, საყოველთაო“. თავისთავად „საერთო“ რიცხვითი სახელი „ერთისგან“ დანიშნულების „სა – ო“ კონფიქსის დართვის შედეგად მიღებული ზედსართავი სახელია, რომელიც, რა თქმა უნდა, ძირითადად მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება: **საერთო საცხოვრებელი, საერთო მტერი, საერთო სამზარეულო, საერთო ბედი, საერთო კალაპოტი** და ა.შ. ჩამოთვლილ მაგალითებში „საერთო“ სხვა წევრთან შესიტყვებას ქმნის და, ცხადია, დამოუკიდებლად იწერება. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „საერთო“ მომდევნო სიტყვასთან ერთად მიემართება საზღვრულს მსაზღვრელად: **საერთოსახელმწიფოებრივი** ამოცანები, **საერთოქართველური** ენა, **საერთოაღმოსავლური** კულტურა, **საერთოსაკაცობრიო** ღირებულებები და სხვ. დაისმის კითხვა, როგორი დაწერილობა უნდა მივიჩნიოთ ჩამოთვლილი ერთეულებისათვის მართებულად: ორ სიტყვად, ერთად თუ დეფისით. ამგვარ ერთეულებს შესიტყვებად ვერ მივიჩნევთ, რადგან შემადგენელ ნაწილთა გათიშვა (გადასმით ან შიგნით სხვა სიტყვის ჩართვით) შინაარსობრივ ბუნდოვანებას ქმნის. შესაბამისად, ორ სიტყვად დაწერა გამოი-

რიცხება. რაც შეეხება დეფისით ან უდეფისოდ დაწერის შესაძლებლობებს, უნდა ვიხელმძღვანელოთ უკვე დადგენილი წესებით.

როგორც ცნობილია, რთული სიტყვა დეფისით უნდა დაიწეროს, თუ ლექსიკური ერთეული ერთცნებიანია, ან კიდეც – შემადგენელ კომპონენტებს შორის „და“ კავშირის ჩასმა შესაძლებელი. ზემოაღნიშნული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსგავს ერთეულებში ჭირს „და“ კავშირის გააზრება (შდრ.: **საერთო** და **ენობრივი**, **საერთო** და **ვერობულო**, **საერთო** და **ეროვნული**, **საერთო** და **კულტურული**, **საერთო** და **საეკლესიო**, **საერთო** და **სალიტერატურო**, **საერთო** და **სამთავრობო** და სხვ.), თუმცა მათ ერთცნებიან რთულ სიტყვებადაც ვერ მივიჩნევთ. თ. უთურგაიძე რთული სიტყვების მართლწერის შესახებ აღნიშნავს: „თუ რთულ სიტყვაში **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი**, ან **არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი** თანამიმდევრობა **შეიძლება სხვა სიტყვის მსაზღვრელადაც** იქნეს გამოყენებული, მათ შორის დეფისი არ დაიწერება“. მართალია, ჩვენ მიერ დამოწმებულ მაგალითებში ორივე კომპონენტი ზედსართავი სახელია, მაგრამ ამ ფუძეთა თანამიმდევრობა სხვა სიტყვის მსაზღვრელად გვხვდება. შესაბამისად, მათზეც თუ განვაგრცობდით თ. უთურგაიძის მიერ შემუშავებულ წესს, მაშინ ეს სიტყვებიც ერთად უნდა დავწეროთ. ამას გარდა, ყურადღებაამისაქცევია კიდეც ერთი ფაქტი – ჩამოთვლილი ერთეულები წინადადების დამოუკიდებელი წევრები კი არ არიან, არამედ ისინი ერთობლივად, როგორც ერთი წევრი, ისე გამოიყენებიან წინადადებაში. დასახელებული კრიტერიუმში „ნორმების“ მიხედვით ერთ-ერთი უმთავრესია კომპოზიტთა დაწერილობისას.

დასასრულ, შეიძლება დაისვას კითხვა ამგვარ სიტყვათა სიგრძესთან დაკავშირებით და დეფისიანი დაწერილობა იქნეს მიჩნეული უპირატესად სიტყვის სემანტიკისა თუ შემადგენელ კომპონენტთა გამიჯვნის (უკეთ აღქმის) მიზნით. ასეა წარმოდგენილი ჩამოთვლილი სიტყვები „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც“. ჩვენი აზრით, დეფისიანი დაწერილობა ამგვარ სიტყვათა შინაარსს უფრო აბუნდოვანებს და რთულ სიტყვათა დაწერილობის დადგენილ წესს (და კავშირის ჩასმის შესაძლებლობით) სხვა კომპოზიტებთანაც საორჰოფოს ხდის. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ რთულ სიტყვათა დეფისით თუ უდეფისოდ დაწერის ყველა წესი სიტყვა „საერთოს“ შემცველი კომპოზიტებისთვის ერთნაირად

მხარდამჭერი არ არის, ვფიქრობთ, მათი უდევოსოდ, ერთ სიტყვად წარმოდგენა უმართებულოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული.

## ლი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

### **უცხო სიტყვები და ქართული ენა**

(ისტორია და თანამედროვეობა)

1918-1921 წლებში უფრო გამწვავდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის დროს დაწყებული კამათი იმის შესახებ, თუ როგორი ტერმინები უნდა დაემკვიდრებინათ ქართულში, „საერთაშორისო ტერმინოლოგია პირდაპირი საფრთხე იქნება ქართული ენისთვის“ – ასეთი იყო პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის (სიტყვარის) ავტორთა უცვლელი შეხედულება.

რა იყო „ქართველი პურისტების“ ხედვის საფუძველი?

1. საერთაშორისო, ე. ი. ყველა ქვეყნისთვის საერთო სრული ტერმინოლოგია არც არსად არის, ვერც გაჩნდება, და კიდევ რომ გაჩნდეს, ვერასგზით ვერ შეძლებს ყველა ქვეყნის მეცნიერების დაახლოებას და შეერთებას;

2. ქართული ენა სრულიად „განსხვავებული შტოა ქვეყნიერების ენებისა“, მისთვის სრულიად უცხოა ინდოევროპული სახელები, უცხო ფესვების ჩამატება ანგრევს ენას და ვერაფერს შველის „ჩვენებური თავ-ბოლოების წაბმა“. მთავარი კი ისაა, რომ უცხო სიტყვები ახალ სიტყვებს ვერ წარმოშობენ, ენათა შერევა ვერ ამდიდრებს ენას, პირიქით, „ის ამცირებს და არა ზრდის ენის სიღრმეს და შინაარსიანობას“;

3. უცხო სიტყვების ქართული ასოებით გამოსახვა, რასაკვირველია, ადვილი საქმეა, „მხოლოდ არა გეგონია, რომ ამნაირად ტერმინოლოგიის შემუშავება უფრო „კანონიერი“, „საჭირო“ და „სასარგებლო“ იყოს ეროვნულთან შედარებით“;

ტერმინების უთარგმნელად გადმოტანა უმარტივესია. ის ხომ არავითარ შრომას და თავის მტვრევას არ მოითხოვს: „მართლაც ყველა ქვეყანაში სახმარი ერთად-ერთი მეცნიერული ტერმინოლოგია

რომ არსებულიყო, რაღად გაუძნელდებოდა ჩვენს განათლებულ წრეებს მისი საქართველოში გადმოტანა, რა საჭირო იქნებოდა ამდენი შრომა, ამდენი ტერმინოლოგიური კომისიები, ასეთი ვაი-ვაგლახით შედგენილი ტერმინოლოგიური ლექსიკონები და სხვ. „საერთაშორისო“ ტერმინების ყოველივე მომხრესათვის საკმაო იქნებოდა ამ საყოველთაო სახელების ქართული ტრანსკრიპციით გამოსახვა“.

ამგვარად, სიტყვარის ავტორებმა ჩამოაყალიბეს ტერმინთშემოქმედების ხედვა, რომელსაც მყარი და დასაბუთებული საფუძველი ჰქონდა – *„ტერმინოლოგიის შექმნის დროს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ენის ხასიათი უნდა მივიღოთ მხედველობაში“*.

წარსული გამოცდილების, შედეგებისა თუ თანამედროვე ვითარების კვლევამ უდავოდ დაგვარწმუნა „ქართველი პურისტების“ შეხედულებათა ჭეშმარიტებაში და, გარკვეულწილად, განსაზღვრა მრავალდარგოვან ტერმინთა ლექსიკონების ახალი რედაქციების მეცნიერული საფუძველი – ლექსიკონებისა, რომლებიც მომავალი თაობების ენობრივ გზამკვლევად უნდა იქცეს.

## მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

### **მიზეზისა და მიზნის მრჩობლად აღბეჭდილი სინტაქსური ფუნქციისათვის ქართულში**

მოხსენებაში განიხილება მიზეზისა და მიზნის მრჩობლად (წყვილად) გამომხატველი ის საგულისხმო სინტაქსური ფუნქცია, რომელიც სხვადასხვაგვარ სინტაქსურ ერთეულთა მეშვეობით უკვე ძველ ქართულ ენაში ხორციელდებოდა მაღალი სიხშირით და დღეისათვის ნაწილობრივ მოქმედებს.

I. ძველი აღთქმის წიგნში „ფსალმუნნი“ **-თვს-** თანდებულიან 90-მდე სინტაქსურ ერთეულთაგან ორი მესამედით (65%-მდე) გადმოიცემა მოქმედების **მიზეზი** (მოტივი ან მამომრავებელი ძალა), დანარჩენით კი (35%-მდე) – მოქმედების **მიზანი** (სამიზნე საგანი ან ობიექტი). შესაბამისად: ჯრუჟ-პარხლისა და ადიშის ოთხთავებში მოქმედების მიზეზის გამომხატველია იმავე **-თვს-** თანდებულიან

60-მდე სინტაქსურ ერთეულთა ოთხი მეხუთედი (83%-მდე), მოქმედების მიზნისა კი – ერთი მეხუთედი (17%-მდე); მაგალითად:

**კითხვითი ნაცვალსახელი „რამსათვს“** (→ „რატომ, რის გამო“) – „ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე; **რამსათვს** დამიტევე მე?“ (ფსალმუნი 21, 2).

**მიზეზის კავშირი „ამისთვის“ / „მისთვის“** (→ „ამიტომ, ამის გამო“) – „და მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისად საფლავად უცხოთა. *ა მ ი ს თ ვ ს* ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისად ვიდრე აქა დღედმდე“ (მათე 27, 7-8).

**მიზეზის გარემოება** (→ „...გამო, მიზეზით“) – „მხილებათა მიერ *უ შ ჯ უ ლ ო ე ბ ი ს ა თ ვ ს* განსწავლე კაცი და დაადნვე, ვითარცა დედაზარდლისა ქსელი, სული მისი“ (ფსალმუნი 38, 12).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის ლექსიკოგრაფიული არჩევანი, რომელიც არაერთგვაროვნად აისახება ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, კერძოდ: ერთი მხრივ, დამოუკიდებელ ლექსემებად არ განიხილება განსახილველი სემანტიკური ერთეულები – **თვს, ამის[ა]თვს, ამის პირისათვს, ამის ჯერისათვს, მისთვის**, მეორე მხრივ კი, როგორც ეს უკანასკნელნი, ისე ძვ. ქართ. **ამისგან, ამისგანად, მისგანად** – წარმოდგენილია დამოუკიდებელ ლექსემებად, რომელთაგან ნაწილი („თვს“, „მისგანად“, „მით“, „მისთვის“) განიმარტება **მრჩობლად** („1. ამისთვის, მისთვის; 2. ამის გამო, მის გამო“), ხოლო დანარჩენი ნაწილი – **ოდენ** მიზეზის გამოხატველად („ამიტომ, ამის გამო, ამ მიზეზით“).

II. ამასთან ერთად, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი რედაქცია არა მრატო ითვალისწინებს ქართ. კავშირის „**ამისთვის**“ სინტაქსური ფუნქციის მრჩობლობას, არამედ საგანგებოდ (გასაყოფი ნიშნით – ||) დაურთავს განმარტებით უწყებას ამ **მიზნის** კავშირის მიერ მოქმედების მიზეზის უმართებულოდ გამოხატვის თაობაზე: „**ამისთვის**“ – (-**თვის**- თანდებულიანი ნაცვალსახელი **ამის**) 1. ამის გულისთვის. 2. მიზნის კავშ. **ამ მიზნით** || ზოგჯერ შეცდომით ხმარობენ მიზეზის აღსანიშნავად“ – *ა მ ი ტ ო მ*-ის ადგილას“; შდრ. განმარტებანი საკუთრივ თანდებულებისა – **გამო** და -**თვის** (ქეგლი 1950-1964; ქეგლი ახ. რედ.).

III. მიზეზისა და მიზნის მრჩობლად გამოხატული ლექსიკურ-გრამატიკული ფუნქციონირების პირველწყარო სამიებელია საკუთრივ მიზეზისა და მიზნის ექტსრალინგვისტური მონაცემებით აღ-



ბეჭდილ დეფინიციებსა და პოსტულატებში. მაგალითად, ეკლესიის წმიდა მამათაგან უმრომელად ბოძებული ეგზეგეტიკური ნააზრევის თანახმად, „ყოველივეს პირველმიზეზებში“ **მრჩობლად** თანაარსებობს **ღვთაებრივი მიზეზიც** და **ღვთაებრივი მიზანიც**. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა **წმიდა პავლე მოციქულის** სწავლება ღვთაებრივი პირველმიზეზის შეცნობის შესახებ (რომაელთა მიმართ, 1, 20), რომლის მიხედვით, ჭეშმარიტების მამიებელმა უზეშთაესი ღვთაებრიობა უნდა განიცადოს – გულისყურით და განჭვრიტოს – გონებისთვალთ, რათა ყოველთა **პირველმიზეზი** განასხვავოს საწუთისოფლო მიზეზისგან, და ამ სარწმუნო გზით უცდომლად შეიგნოს, თუ რა არის ღვთის მიერ ქმნილ სამყაროში **ჭეშმარიტი მიზეზი** და რა – **ჭეშმარიტი მიზანი**. ამასვე შეგვაგონებს წმიდა ბასილი დიდი: „სამყარო მხატვრული ქმნილებაა, რომლის ჭვრეტაც ყველას შეუძლია, და რომლის მეშვეობითაც შემოქმედის სიბრძნეც შეიგნობა“ („ექუსთა დღეთად“, VII ჰომილია).

**მიზეზისა** და **მიზნის** თავდაპირველი მრჩობლად თანაარსებობის თვალსაჩინო დასტურად გვესახება მუცლადღებული დედის წიაღში დავანებული ნაყოფის შემდეგი საღმრთო-საწუთისოფლო ხატება:

ერთი მხრივ, დედის წიაღში ნაყოფის აღმოცენებით (მუცლადღებით) მრჩობლად აღიბეჭდება მუცლადღების **ღვთაებრივი მიზეზიც** და **ღვთაებრივი მიზანიც**, ანუ მრავალმოწყალე ღმერთის ნება და განგება – ეს შვილი უნდა იშვას ამ დედისგან.

მეორე მხრივ, აქ **კაცობრივი მიზეზი** მუცლადღებული დედაა, **კაცობრივი მიზანი** კი – ამ მუცლადღებულის ნებით გაცხადდება – შვას თუ არა შვილი, და სწორედ ღვთაებრივ და კაცობრივ ნებათა კეთილნაყოფიერი სინერგიით (მიზეზითა მიზეზისადათა) განხორციელებული კაცობრივი მიზანია სათნო – ღვთისათვის, და კეთილი – კაცთათვის, რამეთუ იშვება ღვთის შვილი!

მრჩობლად თანაარსებობის მსგავს ექსტრალინგვისტურ მაგალითებად ასევე შეირაცხება: მიზეზი ↔ მიზეზოვანი; მიზეზი ↔ მიზანი; მიზანი ↔ საშუალება; მიზეზი ↔ შედეგი; მიზანი ↔ თვითმიზანი; სული ↔ ხორცი; დრო ↔ სივრცე; ჰორიზონტალი ↔ ვერტიკალი (→ ჯვარი); ერთი ↔ მრავალი და სხვ.

## ერთი პოპულარული სიტყვის (ფინტიკოსა) შესახებ უახლეს ქართულში

თანამედროვე სასაუბრო ქართულში ერთობ პოპულარული სიტყვაა **ფინტიკოსა** (ფონეტიკური ვარიანტებითურთ: ფინტიკოზა, ფინტიკოზა, ფინტიკოსა). ამ სიტყვის გააქტიურება და ქმედუნარიანობა უდავოდ განაპირობა იმგვარმა ხმაურიანმა (უფრო კი, „ყბადაღებულმა“) თემებმა, როგორებიცაა ფემინიზმის მახინჯი ფორმებისა და „ლიბერასტული იდეების“ პროპაგანდა. სოციალური ქსელებისა და მასმედიის მეშვეობით მისი ტირაჟირება ერთგვარი რეკლამირება-წახალისებაცაა და, შესაბამისად, სიტყვაც აქტიურობს.

სიტყვა **ფინტიკოსის** ძირითადი მნიშვნელობაა: სიყალბის ჩამდენი, ყალბის მოქმედი, თვალთმაქცი, მატყუარა. სიტყვის წარმოშობის ისტორიის კვალდაკვალ თავდაპირველად ასე უწოდებდნენ ამორალური საქციელის, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს. *ფინტიკოსობა* კი, საერთოდ, გაყალბების აღმნიშვნელად დამკვიდრდა და, ჩვეულებრივ, ასეც გამოიყენება რაიმე ნივთის, მოქმედების ან ქცევის სიყალბის აღსანიშნავად. უახლეს სასაუბრო ქართულში, თემებიდან გამომდინარე, გააქტიურდა ამ სიტყვის გამოყენება როგორც ამორალურობის, ისე სიყალბის ჩამდენის მნიშვნელობებით (სიყალბეც ხომ ამორალურობაა!) და, ამასთან ერთად, სიტყვამ შეიძინა ირონიულ-სარკასტული (უფრო კი – სალანძღავი) კონოტაციაც და იგი გამოიყენება არამხოლოდ **თვალთმაქცი, მატყუარა**, ან თუნდაც **მსუბუქი ყოფაქცევის ქალის**, არამედ ამავე თვისებების მატარებელი მამაკაცის აღსანიშნავადაც. ასე მაგალითად: *ეს ნორმალური ქალები სწორედ ფინტიკოსა ქალებისაგან უნდა დავიცვათ; რაც ყველაზე საოცარია, უკვე გვყავს მამაკაცი ფინტიკოსაც; ქალბატონი და ბატონი ფინტიკოსები; ქალბატონი ფინტიკოზა; ორი წამყვანი ფინტიკოსას საუბარი და საქციელი და მრავალი სხვა.*

სიტყვის გამოყენების არეალის გაფართოებამ (რასაც ცნობილმა სიმღერამაც წააშველა ხელი) განაპირობა ის, რომ ძირითადი მნიშვნელობისა თუ ირონიული კონოტაციის მეშვეობით *ფინტიკოსამ* თავისუფლად მონახა ახალი სინონიმური რიგი; ფაქტია, რომ ამ

რიგის ლექსიკურ ერთეულთაგან გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით დაწინაურდა კიდეც – მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა არასოდეს უჩიოდა ამგვარი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ნაკლებობას.

## მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

### კომპოზიციის პრობლემისათვის საერთოქართველურ ფუძეენაში

კომპოზიცია თანამედროვე ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში სიტყვაწარმოების საკმაოდ გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს. ცნობილია, რომ დერივაციის ეს სახეობა უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი ერთიან ქართულში; ძველქართულიდან დღემდე სიტყვათქმნადობის ამგვარი ევოლუცია უწყვეტია. შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული კომპოზიცია მეგრულ-ლაზურსა და სვანურში.

ამავდროულად, კომპოზიციის ფუნქციონირების შემთხვევები შეინიშნება საერთოქართველური ფუძეენური ერთობის დონეზეც, რის უტყუარ ნიმუშებად მივიჩნევთ მეღვინეობის არაერთ ტერმინს ქართველურში: \***ტინ-აჯ-ი** „ვენახი“ -> ძვ. ქართ. ვენ-აჯ-ი, ზან. ბინ-ოხ-ი/ბინ-ეხ-ი, სვან. ტენ-აჯ „ვენახი“... ფუძეენური (საერთოქართველური) წარმომავლობის ეს რთული სიტყვა პირველ კომპონენტად **ტენ**-ს წარმოაჩენს, რომლის მნიშვნელობის გაგებაში დაგვეხმარება ქართულის მონათესავე წოვა-თუშური (ბაცბური) ენის სადა ფუძე **ვე**, რაც *ღვინოს* აღნიშნავს. მაგრამ რა არის **-აჯ-** სეგმენტი? – იგი დადესტნის მონათესავე ენების მეშვეობით გაიშიფრება, როცა ახვახური **აჯი**, ტინდიური **ახი**, ჭამალური **ახ**, ხვარშიული **ოჰ** და დარგულური **ანჯ** დღესაც **ბადის** მნიშვნელობითაა ცნობილი, ანუ გამოდის, რომ ქართული **ვენ-ახ-ი** წარმოშობით *ღვინის ბაღს* უდრიდა. სწორედ ამ ქართულმა **ტენ-ვენ-** ძირმა მისცა დასაბამი არაერთ ინდოევროპულ სიტყვას.

შედარებითი კვლევები ადასტურებს აგრეთვე ქართული **ყურ-ძენ**- სიტყვის რთულ შედგენილობას. აქ **ყურ**- და **ძენ**- მარტივი ძირები ადვილად გამოიყოფა. პირველი **ყურ**- კომპონენტის მონათესავე **ყურა** სიტყვა დღესაც ცოცხალია დაღესტნის ბუდუხურ ენაში და *ყურძენს* აღნიშნავს, ხოლო ერთ-ერთ ჩერქეზულ, აწ უკვე გადაშენებულ, უბიხურ ენაში **ყურა**-ს შებრუნებული წყობის **რაყვა** ფორმა *ვაზის* მნიშვნელობით არის ცნობილი. **ყურ-ძენ**- კომპოზიტის **-ძენ**- ნაწილაკი დამოუკიდებლად არ იხმარება ქართულში, მაგრამ მისი ზანური კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი **ჯან**-ი გურია-სამეგრელოში *წითელყურძნიანი* ვაზის ჯიშია დღესაც. გამოყოფილი **ძენ**-/**ჯან**- გამოირჩევა დაღესტნური შესატყვისებით, სადაც მრავალ ენაში ამავე ძირიდან ნაწარმოები **ღვინის** აღმნიშვნელი სიტყვები დასტურდება: კარატაული **ჟანა**, ანდიური **ჟონო**, ჭამალური **ზანა**, არჩიბული **ჩონ** (← **\*ჯონ**) „ღვინო“...

და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ **და**-კავშირიანი რთული რიცხვითი სახელები ერთნაირად არის დამახასიათებელი ქართულ-ზანურისათვის *ოცის* შემდეგ; შდრ.: ქართ. ოც-და-ერთ- = მეგრ.-ლაზ. ეჩ-დო-ართ-, ქართ. ოც-და-სამ- = მეგრ.-ლაზ. ეჩ-დო-სუმ-... აქვე უნდა დასახელდეს ქართ. სხვა-და-სხვა = მეგრ. სხვა-დო-შხვა...საერთოქართველურში უკავშირო კომპოზიციის აშკარა ნიმუშებია სვან. დი-მთილ- : ზან. დი-მთირ-ე / დია-ნთილ-ი : ქართ. დე-და-მთილ-ი, ზან. მუმა-ჩჟიმ-ი : ქართ. მამა-ჩემ-ი და სხვ.

ამდენად – ფაქტია, რომ საერთოქართველურ ფუძეენაშიც სტრუქტურის მიხედვით გაირჩეოდა ყველა სახის თხზვა-კომპოზიცია, რაც ამჟამადაც დამახასიათებელია ქართველური ენა-კილოებისათვის:

1. უკავშირო;
2. და-კავშირიანი;
3. რედუპლიცირებული კომპოზიტები;
4. ნაირფუძიანი კომპოზიტები.

ფუძეენაში რედუპლიცირებული კომპოზიტები ფუძის გაორმაგებით მიიღებოდა, ხოლო ნაირფუძიანი კომპოზიტების სტრუქტურაში კი ორი ან მეტი განსხვავებული ფუძე იღებდა მონაწილეობას და ამ ფუძეთა ერთიანობა ქმნიდა ახალ, რთული შედგენილობის ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ენობრივ ცნობიერებაში უტოლ-

დებოდა მარტივ სიტყვათა სტატუსს, ერთიან ენობრივ ფორმად მოი-  
აზრებოდა.

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

## **სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიისათვის 1920-1921 წლებში** (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების მიხედვით)

1920 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატ-  
თან დაარსდა **სასწავლო კომიტეტი** (ხელმძღვანელი – პროფ. **ივანე  
ჯავახიშვილი**), რომლის უმთავრესი ფუნქცია – სხვა მნიშვნელოვანი  
საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, სალიტერატურო ენის ნორმე-  
ბისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის მიღება-დამუშავება იყო.

1921 წლიდან რუსეთის მიერ საქართველოში უკანონოდ და-  
მყარებული ახალი პოლიტიკური რეჟიმის შემდეგ აღნიშნულმა ორ-  
განომ **სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს** სახელით განაგრძო მუშაო-  
ბა, რომლის თავმჯდომარედ ისევ პროფ. **ივ. ჯავახიშვილი** აირჩიეს.

საქართველოს ეროვნული არქივის სახალხო განათლების კო-  
მისარიატის ფონდში დაცულია დასახელებული სტრუქტურების  
მიერ წარმოებული სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი საარქივო  
მასალები. კერძოდ, სამეცნიერო საბჭოს სხდომათა ოქმებში განხი-  
ლულია პროფესორების მიერ შემუშავებული სალიტერატურო ენის  
ნორმალიზაციის პრინციპები, რომლებსაც დართული აქვს სათანა-  
დო მაგალითები.

ორივე პერიოდის ოქმების მიხედვით საბჭოს წევრებად დასა-  
ხელებული არიან შემდეგი მეცნიერები: **გ. ახვლედიანი, ა. შანიძე,  
ს. გორგაძე, ვ. ზერიძე, კ. კეკელიძე, მ. თაქთაქიშვილი, დ. გედევანი-  
შვილი, მ. ზანდუკელი, მ. კონიაშვილი, გ. კონიაშვილი, ალ. ჟორჟო-  
ლიანი, დ. უზნაძე, გ. ჭუმბურიძე, ევ. ჭოდოშვილი, ილ. ყიფშიძე,  
მ. შალამბერიძე, ი. ყიფშიძე, ვ. კანდელაკი, რ. ნიკოლაძე-პოლიევ-  
ქტოვისა, ალ. წერეთელი, ალ. მიქაბერიძე, მ. ჭავჭავაძე, გ. ჩუბინა-  
შვილი, ს. კაკაბაძე, თ. კიკვაძე, შ. ნუცუბიძე, ნ. მგელაძე, გ. ნათაძე,**

**ნ. ჩიგოგიძე, ან. რაზმაძე, თ. კიკვაძე, ალ. ალადაშვილი, ი. მოსევილი, ალ. მდივანი, ალ. დიდებულიძე, ა. ბენაშვილი და ვ. კაკაბაძე.** საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ მეცნიერთა ნაწილს სამეცნიერო საბჭოში არ გაუგრძელებია საქმიანობა და დოკუმენტებიდანაც არ ჩანს, ეს მათი ნებით მოხდა თუ ვინმეს მითითებით.

1921 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე პროფ. ივ. ჯავახიშვილმა მეცნიერებს საბჭოს ძირითადი მოვალეობები განუმარტა: „თუ წარსულს გადავავლებთ თვალს, აღვადგენთ იმ დაუმთავრებელ მემკვიდრეობას, რომელიც დაგვიტოვა ყოფილმა სასწავლო კომიტეტმა, რომლის წევრებიც ჩვენ თითქმის ყველა ვიყავით და რომლის დამთავრებას გვაკისრებს ახალი წესდებაც, სახელდობრ, **სამეცნიერო ტერმინოლოგიის და ქართულის საერთო ლიტერატურული ფორმების დამუშავებას**, დავრწმუნდებით, რომ საქმე დიდი და საპასუხისმგებლო გვაწევს და თუ ამას მაინც შევასრულებთ, ისიც დიდი სამსახური იქნება, მასაც დიდი მნიშვნელობა ექნება. თუ ამავე საკითხებს არ დავაყენებთ პირველ რიგში და არ დავამთავრებთ ამ მუშაობას, ცუდს მდგომარეობაში დავტოვებთ როგორც დაბალ და საშუალო სასწავლებლებს, ისე უმაღლესსაც. **უნდა მოისპოს ის საშინელი ენათა აღრევა, რომელიც არსებობს დღეს**. აი, უპირველესი და უახლესი მიზანი ჩვენი მუშაობისა (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, N1, 1921 წ.).

1921 წელს აღნიშნული ორგანოს წევრებმა ძირითადად შეიმუშავეს ქართული სალიტერატურო ენისათვის მისაღები საერთო ფორმები. საბჭოს სხდომების ოქმებში მოცემულია მსჯელობა საერთო სალიტერატურო ენაში დასამკვიდრებელი სწორი გრამატიკული ფორმების შერჩევისა და დაკანონების შესახებ. ყოველი საკითხის განხილვა რთული და შრომატევადი პროცესი იყო, ვინაიდან მეცნიერებს ჰქონდათ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებები, რის გამოც ხშირად ვერ ხერხდებოდა შეთანხმების მიღწევა. მიუხედავად ამისა, დასახელებულ პერიოდში სამეცნიერო საბჭომ პროფ. ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით ჩაატარა ათეულობით სხდომა, სადაც მწვავე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შეაჯერეს ქართულ ენასა და მის დიალექტებში გავრცელებულ ფორმათაგან სალიტერატურო ენაში გამოსაყენებელი ტერმინები. მეცნიერები უმთავრესად დავობდნენ სალიტერატურო ენის ნორმების მიღების პრინციპებზე, რომლებიც წინასწარ არ იყო შემუშავებული, ამიტომ სამუშაო პროცესის დროს იკვეთებოდა ამა თუ იმ ოპტი-

მალური ფორმის შერჩევის საფუძველი. მაგალითად, 1921 წლის 1 თებერვლის სხდომაზე: „**მ. კონიაშვილი** ეკითხება კომისიას: რომელი ფორმა იხმარებოდა დღემდის, როგორ იხმარება ახლა და თუ ახალი ფორმა არ ეგუება ძველ ფორმას, რომელი მათგანი უნდა გავამეფოთ, რა პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ? **ს. გორგაძე** უპასუხებს, რომ კომისია ორ ფორმაში, ძველში და ახალში უპირატესობას აძლევს ახალს, თუ ძველი მკვდარი, ან თითქმის მკვდარია და ახალი კი გავრცელებული“ (სეა, უიკა, ფ. 300, ან. 3, N1, 1921 წ. გვ. 20). თითქმის ყველა მეცნიერი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მნიშვნელოვანი იყო, რაც შეიძლება სწრაფად შეერჩიათ ქართული ენისათვის მისაღები ლექსიკური ერთეულები. ხშირ შემთხვევაში სამეცნიერო საბჭოს წევრები რამდენჯერმე უბრუნდებოდნენ ერთსა და იმავე სადავო საკითხის განხილვას.

ჩვენ მიერ მოძიებული საკვლევი მასალებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში სამეცნიერო საბჭოს მუშაობა აქტიურად და ნაყოფიერად მიმდინარეობდა. სამუშაო პროცესს წარმართავდნენ სხვადასხვა მიმართულების საგანგებო კომისიები, რომელთა მიერ დამუშავებული მასალები და რეკომენდაციები საბოლოოდ განიხილებოდა და მტკიცდებოდა სამეცნიერო საბჭოს მიერ.

სტატიაში წარმოვადგენთ 1921 წელს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სხდომათა ოქმებში დისკუსიების დროს მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ამასთანავე, განვიხილავთ იმ კონკრეტულ მაგალითებს, რომელთა სალიტერატურო ენის ნორმად ფორმირებას ან უარყოფას მეცნიერული არგუმენტებით ამყარებდნენ საბჭოს წევრები. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ 100 წლის წინ მეცნიერების მიერ მიღებული სალიტერატურო ენის ნორმათა უმრავლესობა არ შეცვლილა, დროს გაუძლო და თანამედროვე ქართულში აგრძელებენ სიცოცხლეს.

## სტუდენტთა სექცია

ს ა ლ ო მ ე დ ე ნ ო ს ა შ ვ ი ლ ი, ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა მ ე

### მართლწერის ლექსიკონი დაწყებითი კლასების (I-VI) მოსწავლეთათვის (აგების პრინციპები)

ლექსიკონის მომზადება, უპირველეს ყოვლისა, შეპირობებულია პრაქტიკული მიზანდასახულობით. ცნობილია, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები – კერძოდ, საგლობალიზაციო პირობები მთელი თავისი ტერმინოლოგია-ფრაზეოლოგიითა თუ ნეოლოგიზმებით – სწორედ ენაში აისახება, რაც, ბუნებრივია, ზემოქმედებს მოსწავლე-ახალგაზრდების მეტყველებაზეც.

ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ დაწყებითი კლასებიდანვე სწორად აითვისოს შესასწავლი საგნების ტერმინოლოგია, რათა შეძლოს მშობლიურ ენაზე თავისუფლად წერა და მეტყველება.

აღსანიშნავია ისიც, რომ არცთუ იშვიათად ორთოგრაფიულ-გრამატიკული თუ სტილისტიკური შეცდომები სასკოლო სახელმძღვანელოებშიც დასტურდება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოსწავლეთათვის მართლწერის ლექსიკონის მომზადება, რომელიც მასალობრივად დაემყარება I-VI კლასების სახელმძღვანელოებს.

ლექსიკონის აგების პრინციპები ტრადიციული იქნება:

- ორთოგრაფიულ-გრამატიკული შეცდომები გასწორდება [და არა], [კი არა] აღნიშვნების გამოყენებით, რაც დაწყებითი კლასების მოსწავლეებს საგრძნობლად გაუადვილებს საჭირო სიტყვის მოძებნას როგორც სწორი, ისე უმართებულო ფორმის მიხედვით, მაგალითად: **მუყაო** [და არა კარდონი], ხოლო ასო კ-ზე იხილავენ: [კარდონი კი არა] **მუყაო** და სხვ.
- თუ სწორი და არასწორი ფორმები ანბანურად ერთმანეთთან ახლოსაა, ისინი ლექსიკონში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ მართებული ვარიანტით, მაგ.: **ნახევარსფერო** (ნახევარსფეროს[ი]).



- კუმშვად და კვეცად სახელებს (საჭიროების შემთხვევაში უკუმშველ-უკვეცელებსაც) მრგვალ ფრჩხილებში მიეწერება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რაც გაუადვილებს მოსწავლეს კუმშვადი თუ უკუმშველი, კვეცადი თუ უკვეცელი სახელების ამოცნობას მაგ.: **ფორთხალი** (ნათ. ფორთხლის[ა]), **წიორი** (ნათ. წივრის[ა]), **დღე** (ნათ. დღის[ა]), **ლიმონი** (ნათ. ლიმონის[ა]) და ა. შ.
- თუ სიტყვის ფუძე ი-ზე ბოლოვდება, მას მრგვალ ფრჩხილებში მიეწერება მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები: **რაგბი** (მოთხრ. რაგბიმ, მიც. რაგბის)...
- როცა სახელის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით (და ასეთი შემთხვევა არცთუ იშვიათია), მათ მეთაურ სიტყვასთან უნდა მიეწეროს მრავლობითი რიცხვის ფორმაც, მაგ., **ფეხსაცმელი** (ნათ. ფეხსაცმლის[ა]), მრ. ფეხსაცმელები), **არჩევანი** (ნათ. არჩევანის[ა], მრ. არჩევნები)...
- რთული შედგენილობის ერთეულები ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება შემდეგნაირად: **სტუმარ-მასპინძელი**, მ ა გ რ ა მ: **სტუმარმასპინძლობა**, **სტუმარმასპინძელი**; ან კიდევ: **დედაშვილი**, მ ა გ რ ა მ: **დედაშვილობა**, **დედაშვილური** და სხვ.
- ძალიან ხშირად მოსწავლეთა ნაწერებში (ზოგჯერ სახელმძღვანელოებშიც) ვხვდებით შემდეგი სახის შეცდომებს: **არაფრის დიდებით მოვა / გააკეთებს / დაწერს...** ამ ტიპის ორთოგრაფებს მრგვალ ფრჩხილებში უნდა მიეწეროს მოკლე კომენტარი სწორი ვარიანტების მითითებთ, მაგ.: **არაფრის დიდებით** (მოითხოვს ორმაგ უარყოფას: **არაფრის დიდებით არ დაეთანხმა**).
- ზმნები წარმოდგენილი იქნება საკვანძო ფორმებით: მესამე სერის მხოლობითი რიცხვი, აწმყო ან მყოფადი, წყვეტილი (თუ რაიმე თავისებურება გვაქვს, სხვა მწკრივებიც მიეთითება), პირველი და მეორე თურმეობითები (საჭიროების შემთხვევაში მიეწერება I და II პირის ფორმებიც), მაგ.: **დააჯილდოებს**, **დააჯილდოვა** (**დავაჯილდოვე**, **დააჯილდოვე**), **დაუჯილდოებია**, **დაუჯილდოებინა** და მისთ.
- ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება პარონიმული წყვილები, რომლებიც დაწყებითი კლასების მოსწავლემ უნდა იცოდეს. მაგ.: **სწორად** და **სწორედ**; **ცნება** და **მცნება**, **ჰავა** და **ჰაერი** და ა. შ.

დანართის სახით მომზადდება განმარტებები იმ ლექსიკური ერთეულებისა თუ ტერმინების, რომლებიც შესაძლოა მეტ-ნაკლებად გაუგებარი იყოს დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის.

## ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე

### **ზმნური ანტონიმია თანამედროვე ქართულში**

ანტონიმები ენობრივი უნივერსალიებია. ისინი (სემანტიკურად დაპირისპირებული ლექსიკური ერთეულები) დამახასიათებელია სხვადასხვა სისტემის ენებისათვის. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ანტონიმები (და, ზოგადად, ანტონიმია) გამოწვლილვით არის შესწავლილი.

მასალამ გვიჩვენა, რომ ქართულში დასტურდება როგორც კონტრარული (*შავი – თეთრი, გრძელი – მოკლე*), ისე კონტრადიქტორული (*ღამა ზი – უღამა ზო, ბედნიერი – უბედური, ყოფნა – არყოფნა*) დაპირისპირების შემთხვევები. ზოგი სიტყვა წარმოდგენილია რამდენიმე საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ერთეულთან, მაგ.: *სუფთა – ბინძური, სუფთა – ჭუჭყიანი, სუფთა – უსუფთაო...*

ანტონიმურ წყვილთა კომპონენტებად გამოყოფილია არსებითი სახელები (*ლხინი – ჭირი...*), ზედსართავები (*მაღალი – დაბალი...*), მიმღობები (*ანთებული – ჩამქრალი...*), რიცხვითი სახელები (*ბევრი – ცოტა*), ნაცვალსახელები (*არაფერი – ყველაფერი*), ზმნისართები (*ადრე – გვიან*), ნაწილაკები (*არა – დიახ, არა – კი*).

„ანტონიმია ქართულში“ წარმოადგენს ჩვენი სადიპლომო ნაშრომის თემას. ამ საკითხიდან გამოვყავით ერთი კონკრეტული შემთხვევა, კერძოდ, ზმნური ანტონიმია.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკვე ცნობილი ანტონიმური წყვილების ანალიზი, არამედ ზოგადად – ყველა სახის დაპირისპირება, რაც კი შეიძლება არსებობდეს ლექსიკურ ერთეულებს შორის, თუმცა ჩვენ არ განვიხილავთ მხატვრულ (პოეტურ) დაპირისპირებას (როგორც არის მაგალითად თერგი და მყინვარი, ან „მუშანიკის წამებაში“ ვარსკენისა და მისი მამის დაპირისპირების ეპიზოდი). ჩვენ გვინტერესებს უშუალოდ ლექსიკურ ერთეულებში

არსებული ანტონიმის ყველა შემთხვევა. ცნობილია, რომ ანტონიმები საპირისპირო სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულებია. ვფიქრობთ, თუ **დიდი** და **პატარა** ან **მაღალი** და **დაბალი** ანტონიმებს წარმოადგენს, მაშინ ამ ფუძეებზე დამყარებული ზმნური ფორმებიც ანტონიმებად აღიქმება: **ადიდებს – აპატარავენს, ამაღლებს – ადაბლებს** და ა. შ. ანალოგიური ვითარება გვექნება შემდეგ მაგალითებშიც: თუ **მაღლა** და **დაბლა**, ან კიდევ – **გარეთ** და **შიგნით** ანტონიმური წყვილებია, მაშინ ზმნები, რომლებიც ზმნისწინების საშუალებით გამოხატავენ ამ **მიმართულებივ** დაპირისპირებას, ასევე საპირისპირო შინაარსისა იქნებიან, მაგალითად: **ადის – ჩადის, გაიტანს – შემოიტანს, გავა – შემოვა** და სხვა.

პირველ შემთხვევაში დაპირისპირება მთლიანად ეკისრება მხოლოდ ზმნის ფუძეს (**ადიდებს – აპატარავენს**), ხოლო მეორე შემთხვევაში – ზმნისწინს (**ადის – ჩადის**).

როგორც ვხედავთ, ზმნურ ანტონიმობას იწვევს ორი ძირითადი ფაქტორი – ანტონიმური ნასახელარი ფუძეები და საპირისპირო სემანტიკის მქონე ზმნისწინები.

ნასახელარი ზმნის ფუძეებით დაპირისპირებული ანტონიმობია:

**ადვილებს – აძნელებს** (შდრ.: **ადვილი – ძნელი**)

**ადვილებს**: ადვილს ხდის, – აიოლებს: კაცია მე არ მიცნობს, არცა სადმე ვუნახივარ... ეს ძალიან **ადვილებს**... დავალებას! (შ. არაგვ.).

**აძნელებს**: ძნელს ხდის, სიძნელეს მატებს, – ართულებს, აბრკოლებს: ტერმინების უქონლობა... **აძნელებს** გაგებას ნათქვამისას (ილია).

**აგრძელებს – ამოკლებს** (შდრ.: **გრძელი – მოკლე**)

**აგრძელებს**: სიგრძეს უმატებს, სიგრძივ ადიდებს: მელას უთქვამს: გრძელს რომ ამოკლებდნენ, იქ ვიყავი, მოკლეს რომ **აგრძელებდნენ** – არაო (ანდაზა).

**ამოკლებს**: მოკლეს ხდის, სიგრძეს აკლებს, უახლოვდება: საქვეითო ბილიკი ერთიორად **ამოკლებდა** ცხენისათვის მიხვეულ-მოხვეულს გზასა (ა. ყაზბ.) და სხვ.

როგორც ითქვა, გვაქვს ისეთი ანტონიმური წყვილებიც, როცა დაპირისპირება ზმნისწინებს ეკისრება. ასეთ შემთხვევებში წყვილის ორივე წევრი ერთი და იმავე ფუძისგან არის ნაწარმოები. ასეთებია:

### **ადის – ჩადის**

**ადის:** ქვევიდან ზევითკენ მიდის, მიემართება: კაცი ძირს ვერ დადიოდა, ალვის ხეზე *ადიოდაო* (ხალხ.); ბუხრიდან მაღლა *ადიოდა* ბოლი (ვაჟა).

**ჩადის:** ზევიდან ქვევით მიდის, მიემართება: თავდაღმართში... *ჩადიოდა* ურემი (შ. არაგვ.).

### **აირბენს – ჩაირბენს**

**აირბენს:** სირბილით ავა, სირბილით აივლის (რაიმეს): ილიამ... კიბე მარდად *აირბინა* (რ. გვეტ.); ოთარი ხედავდა, რა ხალისით *აირბენდა* ყოველთვის ომანი გორაკს (ს. კლდ.).

**ჩაირბენს:** სირბილით ჩავა, სირბილით ჩაივლის: [ბახვა] ხტომით *ჩაირბენდა* ქოჩორა ტყით დაჩრდილულ სერსა (გ. წერეთ.); *ჩაირბინე* კიბე და გარეთ გავედი (ს. კლდ.).

### **გაიტანს – შემოიტანს**

**გაიტანს:** შიგნიდან გარეთ (აქედან იქით) გადაადგილებს, წაიღებს: ძაღლი სამჭედლოდან რას *გაიტანსო!* (ანდაზა); ავდექ, *გავიტანე* სანთელი მეორე ოთახში (აკაკი).

**შემოიტანს:** გარედან შიგნით მოიტანს, – შემოზიდავს; შემოალაგებს, შემოაწყობს: სალომემ *შემოიტანა* ღომი და ყველი (გ. წერეთ.); [მსახურმა] *შემოიტანა* ორი დიდი ხონჩა ცხვრის ხაშლამა (ს. შანშ.).

### **გადაფრინდება – გადმოფრინდება**

**გადაფრინდება:** ფრენით გადავა: [ბულბულმა] ფრთა გაშალა, ...ცხრა მთას იქით *გადაფრინდა* (აკაკი).

**გადმოფრინდება:** ფრენით გადმოვა: ინდი-მინდი, ფერად შინდი, ფრთა გაშალე, *გადმოფრინდი* (ხალხ.).

არის ისეთი შემთხვევაც, როცა ანტონიმის ქმნის ფუძეც და ზმნისწინიც ერთდროულად. აქ ფუძე ნასახელარია, ხოლო ზმნისწინები მიმართულების მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს:

**ამაღლებს – დაადაბლებს** (შდრ. **მაღალი – დაბალი**)

**ამაღლებს:** მაღალს გახდის, სიმაღლეს მოუმატებს: ლადომ დაიჟინა: გუბე პატარაა და *ავამაღლოთო* (ა. გეწ.).

**დაადაბლებს:** დაბალს გახდის: სკოლიდან გამოტანილი ძველი მერხები საგანგებოდ *დაედაბლებინათ* (რ. ჯაფ.); გორაკის სიმაღლე უცბად წყდებოდა, თითქოს ვინმეს ხელოვნურად *დაუდაბლებიაო* (ი. ვართაგ.).

გამოიყო იმ სახის ზმნური ანტონიმებიც, როცა ერთი და იგივე ზმნისწინი ერთვის სხვადასხვა ფუძეს:

**გააბედნიერებს – გააუბედურებს** (შდრ. **ბედნიერი – უბედური**)

**გააბედნიერებს:** ბედნიერს გახდის, ბედნიერებას მიანიჭებს: სახელი როგორ *გააბედნიერებს* კაცს, თუ სინდისი აწუხებს?! (ვაჟა); ჩემო მეგობარო! ოღონდ ამ დღიდან დაგვიხსენ და გაგამდიდრებ, *გააბედნიერებ!* (ა. ყაზბ.).

**გააუბედურებს:** უბედურს გახდის: თქვენი წინდაუხედაობით მეც დამტანჯეთ და თქვენი თავიც *გააუბედურეთ* (აკაკი).

**გაამარტივებს – გაართულებს** (შდრ. **მარტივი – რთული**)

**გაამარტივებს:** მარტივს, უბრალოს გახდის: სიუჟეტი საშუალებას იძლეოდა, *გაემარტივებინა* თხრობა (ს. კლდ.).

**გაართულებს:** რთულს გახდის, არევ-დარევს, გააძნელებს: კარგად მოიქცა, ურთიერთობა რომ არ *გაართულა* (ა. სულაკ.).

**გამდიდრებს – გაადარიბებს** (შდრ. **მდიდარი – ღარიბი**)

**გამდიდრებს:** მდიდარს გახდის; უფრო სრულს, მრავალფეროვანს გახდის: მარტო შემოსავალი კაცს არ *გამდიდრებს*, თუ დაზოგვამაც ხელი არ შეუწყო (ხალხ.).

**გაადარიბებს:** ღარიბს გახდის: მგელი ვერ *გაგვადარიბებს*, თუ სხვაფრივ ვუვლით სარჩოსა (ვაჟა).

ბუნებრივია, ანტონიმური წყვილის კომპონენტები ყოველთვის ერთი და იმავე პრევერბით ვერ გაზმნავდება, მაგალითად:

**გაადიდებს – დააპატარავებს**

**გაადიდებს:** დიდს გახდის, – გაზრდის: *გაადიდეს* საქართველოს საზღვრები (აკაკი).

**დააპატარავებს:** პატარას გახდის, – შეამცირებს: მე შემოდლია უარესი გიყო, დაგშალო, დაგაწიწილაქო, *დააპატარაო* (ნ. დუმბ.).

**გაალამაზებს – დააუშნობს**

**გაალამაზებს:** ლამაზს, სახიერს გახდის, შნოსა და ლაზათს შესძენს: სადაც საჭირო იყო, [კალატოზი] კედელს... *გაალამაზებდა* (ნ. ლომ.).

**დააუშნობს:** უშნოს გახდის, შნოს დაუკარგავს, – ულამაზოდ, ულაზათოდ აქცევს: ქუდმა ელგუჯა სულ შეცვალა და *დააუშნოვა* (რ. ჭეიშვი.).

გვაქვს უზმნისწინო ანტონიმური წყვილებიც:

**სძულს – უყვარს**

**სძულს:** სიძულვილი აქვს ვინმეს ან რაიმეს მიმართ: კაცი ვერ იტყვის – *სძულდათ* თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი (ილია).

**უყვარს:** სიყვარულის გრძნობით არის ვინმეს მიმართ გამსჭვალული: რად გიკვირს, ყოველ ქალზე უფრო მეტად დედას რომ *უყვარდე?* (აკაკი).

**ღვიძავს – სძინავს**

**ღვიძავს:** ფხიზელ მდგომარეობაშია, არა სძინავს: ადამიანს... დღისით *ღვიძავს* (ი. გოგებ.); *გღვიძავს*, თანდია? – გამიფრთხა ძილი! (ს. შანშ.).

**სძინავს:** ძილის მდგომარეობაშია: ჩიტის ბარტყს ეგონა, კატასა *სძინავსო* (ი. გოგებ.).

დადასტურდა იმ ტიპის ანტონიმური წყვილებიც, რომელთა კომპონენტები მიჩნევის ვნებითებია:

**ეადვილება – ეძნელება**

**ეადვილება:** ადვილია მისთვის, – უადვილდება: *ეადვილებათ* შვილების აღზრდა (ილია).

**ეძნელება:** ძნელია მისთვის, – უძძიმს, ეძძიმება, უჭირს: ყოფნა უმშობლოდ *ეძნელებოდა* (ილია).

**ებევრება – ეცოტავება**

**ებევრება:** ბევრად ეჩვენება, ბევრი ჰგონია: ერთადერთი ქართული წიგნი, რომელიც აქ იხმარებოდა ყველა კლასში, არის «დედა ენა» და ესეც თურმე *ებევრებათ* (ი. გოგებ.).

**ეცოტავება:** ცოტად მიაჩნია, ცოტად ეჩვენება, ცოტა ჰგონია: ეგებ საჩუქარი *ეცოტავა* (აკაკი).

გვაქვს გუნების ვნებიტებით შედგენილი ანტონიმური წყვილიც:

**ეცინება – ეტირება**

**ეცინება:** სიცილი მოსდის, უნებლიედ იცინის; სიცილის გუნებაზეა: ყველას *გვეცინებოდა*, მაგრამ ვინ გაბედავდა სიცილს უფროსთან (აკაკი).

**ეტირება:** სატირლად არის განწყობილი, ტირილის გუნებაზეა; ტირილი მოსდის: ჭირისუფალი არ ტირის, მოტირალს რა *ეტირებათ* (ანდაზა); გოგრას *ეტირება*, მაგრამ არა ტირის: იცის, რომ სირცხვილია ვაჟკაცისათვის ტირილი (ვაჟა).

მოსხენებაში გაანალიზებული იქნება სხვა სახის ანტონიმური წყვილებიც.